პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

30 ივნისი სამშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 151 (14755)

შენთვის, ჩემო ქვეყანავ!

როგორ ემზადებით ამ თარიღისათვის?

ზუგდიდი. (საკ. კორ.). მზია ბეშიამ 1968 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და იმავე წელს შამგონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში მოსავლელად 0,3 ჰექტარი ჩაის პლანტაცია ჩაბარა. პირველ წელს სეზონის ბოლომდე მან 2 ათას კილოგრამამდე ჩაის ფოთოლი მოკრიფა, 1969 წელს — 3.200 კილოგრამი.

ახალგაზრდა გოგონამ წელს გადაწყვიტა მოკრიფოს 4 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 2 ათასი კილოგრამისა. მ. ბეშიას უკვე 3 ათას კილოგრამზე მეტი ფოთოლი აქვს მოკრეფილი.

სურათზე: მზია ბეშია ჩაის პლანტაციაში.

ფოტო ბ. ყუშუნიასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკური ორგანიზატორი

ᲛᲔᲨᲘᲐᲗᲘ როდია ისეთი შემთხვევა, როცა პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი ენერგიას არ ზოგავს კომუნისტთა ნდობის გასამართლებლად, მაგრამ საქმე მაინც არ გამოსდის. და ეს იმიტომ ემართება, რომ აკლია პარტიული მუშაობის ცოდნა, არ ჰყოფნის პრაქტიკული გამოცდილება.

ასეთ დროს პარტორგანიზაციის მდივანს დახმარება სჭირდება. და მალე მასთან დამხმარე ძალაც მიდის პარტიული რაიკომის ინსტრუქტორის სახით.

პარტიის რაიკომებში მუშაობს ბევრი ენერგიული, გამოცდილი, საქმის მცოდნე ინსტრუქტორი. ერთ-ერთი მათგანია საქართველოს კპ ბალის რაიკომის ინსტრუქტორი ლ. ჭანტურია. იგი სამუშაო დროის დიდ ნაწილს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ატარებს და პრაქტიკულად ეხმარება მათ. ცხოვრების ცოდნა, სათანადო განათლება, პარტიული წრთობა ეხმარება მას ადვილად გაერკვეს პირველადი პარტორგანიზაციების საქმიანობაში, სწორი ორიენტაცია მისცეს ადგილებზე მომუშავე კომუნისტებს, ყველა ამხანაგს. რაიკომის ინსტრუქტორი კითხულობს ლექციებს თავისი ზონის პირველადს პარტორგანიზაციებში, აქტიურად თანამშრომლობს პრესაში, ასრულებს საზოგადოებრივ დავალებებს.

საქართველოს კპ ხაშურის რაიკომის ინსტრუქტორის გ. გოგალაძის მუშაობის მაგალითი ცხადყოფს, რომ მას გაუვლია ცხოვრების კარგი სკოლა, აქვს პარტიული მუშაობის გარკვეული გამოცდილება, უნარი შესწევს დამოუკიდებლად ჩასწვდეს პირველადი პარტორგანიზაციების მრავალმხრივ მოღვაწეობას.

დიდია ინსტრუქტორ გოგალაძის მოღვაწეობის სარბიელი. მის სამოქმედო ზონაში შედის 33 პირველადი პარტორგანიზაცია 900-მდე კომუნისტით. მაგრამ ეს ხელს არ უშლის ინსტრუქტორს სწრაფად გაერკვეს მოვლენებში, ოპერატიული, კონკრეტული დახმარება გაუწიოს პარტორგანიზაციებს, მისცეს კომუნისტებს სასარგებლო რჩევა-დარიგება, დაარწმუნოს მასები და სწორად უხელმძღვანელოს მათ. იგი ესწრება საწარმოო თათბირებს, დახმარებას უწევს პარტორგანიზაციების ახალბედა მდივნებს, სისტემატურად იმაღლებს ცოდნას, პირნათლად ასრულებს საზოგადოებრივ დავალებებს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ინსტრუქტორი ასე როდი მუშაობს.

ახალციხის რაიონის ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაცია ნელა გარდაქმნის თავის მუშაობას, ღრმად არ სწვდება წარმოების ეკონომიკას, ნაკლებ ყურადღებას აქცევს შრომის დისციპლინისა და ორგანიზაციის გაუჯობესებას, სათანადო გავლენას ვერ ახდენს გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაზე. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ახალციხის მებოსტნეობა-მეხილეობისა და წყალტბილის მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობებმა დიდი ზარალით დაამთავრეს გასული სამეურნეო წელი, ხოლო წყრუთის კოლმეურნეობამ მოგების გეგმის შესრულებას 10 ათასი მანეთი დააკლო. ამ საზოგადოებრივ მეურნეობებში დაბალია შრომის დისციპლინა, მოუწესრიგებელია შრომა. კომუნისტთა ერთი ნაწილი უნებართვოდ ტოვებს სოფლებს, პარტორგანიზაციებს და სხვაგან მიდის სამუშაოდ. მათ ბაძავენ უპარტიოებიც.

ყველაფრიდან ჩანს, რომ პარტიის ახალციხის რაიკომის ინსტრუქტორი ხ. აკოფიანი, რომლის ზონაშიც ეს საზოგადოებრივი მეურნეობები შედიან, ფორმალურად ეკიდება თავის მოვალეობას, არ ეწევა სათანადო ორგანიზატორულ მუშაობას, არ უწევს ადგილებზე საჭირო პრაქტიკულ დახმარებას.

ზოგიერთ რაიკომს სწორად როდი ესმის ინსტრუქტორის როლი. ჯერ ერთი, ინსტრუქტორებად არჩევენ ნაკლებად მომზადებულ ადამიანებს, მეორეც, ინსტრუქტორებს არც თუ იშვიათად ტვირთავენ დავალებებით სხვადასხვა ცნობების შესაკრებად, მოხსენებების შესადგენად. ბევრ დროს კარგავენ ისინი მიწერმოწერასა და ტელეფონით ლაპარაკზეც, მაგრამ არ ეწევიან ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას, სუსტად არიან დაკავშირებულნი უშუალოდ პარტიულ ორგანიზაციებთან. ამიტომაც ხდება, რომ ინსტრუქტორი, რომელმაც გარკვეული პერიოდი გაატარა საზოგადოებრივ მეურნეობაში, საწარმოში, ვერ ტოვებს იქ შესაბამის კვალს, ვერავინ ვერ გრძნობს მის დახმარებას.

ინსტრუქტორის როლი არ უნდა დავიყვანოთ წმინდა ტექნიკურ ფუნქციამდე. მასში უნდა დავინახოთ შემოქმედებითი პარტიული მუშაკი, რომლის ადგილიც ცხოვრების შუაგულშია. ინსტრუქტორის ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს სამეურნეო და პარტიული მუშაობის, ახალი ადამიანის აღზრდის საკითხები. მან ყოველმხრივ უნდა გაუკეთოს ანალიზი საქმის არსს, ღრმად ჩასწვდეს მნიშვნელოვან საკითხებს, სწორად უპასუხოს ყოველ კითხვაზე, რომელიც კი დაებადებათ წარმოების მუშაკებს. ამასთან ინსტრუქტორმა არ უნდა გასწიოს სამეურნეო მუშაკთა მაგივრობა, მან წარმოებაზე იმოქმედოს არა უშუალოდ, არამედ ადამიანთა საშუალებით. ყველაზე მეტი ყურადღება დაუთმოს პირველადი პარტორგანიზაციების როლის ამაღლებას, მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებას.

ცხოვრება, პრაქტიკა სულ უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს ინსტრუქტორს. ამიტომ რაიონული კომიტეტების ინსტრუქტორთა თანამდებობებზე აუცილებელია შევარჩიოთ განათლებული, ენერგიული, ინიციატივიანი ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ იმუშაონ შემოქმედებითად, გატაცებით.

რაიონული კომიტეტები მუდმივად უნდა ზრუნავდნენ ინსტრუქტორთა სწავლების ორგანიზაციასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამ მიზნით ფართოდ უნდა გამოვიყენოთ სემინარები, საინსტრუქტაჟო თათბირები, მუშაობის შედეგების პერიოდული შეჯამება. საჭიროა ინსტრუქტორები ხშირად მივიწვიოთ პარტიული კომიტეტების ბიუროების სხდომებზე. დიდ დახმარებას გაუწევს ინსტრუქტორს რაიკომის, საქალაქო კომიტეტის მდივნის საუბარი იმ სიძნელეების, ბუნდოვანი საკითხების განსამარტებლად, რომლებიც პარტიულ მუშაკებს ხვდებათ ყოველდღიურ მუშაობაში.

თავის მხრივ ინსტრუქტორიც მოვალეა მუდმივად სწავლობდეს, ეუფლებოდეს პარტიული მშენებლობის თეორიასა და პრაქტიკას. მას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ იგი მასწავლებელიც არის, აღმზრდელიც, ორგანიზატორიც და პროპაგანდისტიც.

ამასთან საქმის ინტერესები მოითხოვს ყველაზე უნარიანი ინსტრუქტორები დავაწინაუროთ უფრო პასუხსაგებ პარტიულ და სამეურნეო სამუშაოებზე, არ გავყინოთ ისინი ერთ ადგილზე.

დაეხმაროს ადამიანებს, იპოვნონ სწორი გზები კოლექტივის მოღვაწეობის ყველა მხარეზე პარტიული გავლენის გასაძლიერებლად, აამაღლოს პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, კომუნისტთა ინიციატივა და პასუხისმგებლობა — აი რაში ხედავს პარტია ინსტრუქტორის, როგორც პოლიტიკური ორგანიზატორის როლს.

იდეოლოგიურ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

29 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა იდეოლოგიურ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი. თათბირში მონაწილეობდნენ პარტიული მუშაკები, პროპაგანდისტები, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები და მასწავლებლები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები, მწერლები, გაზეთებისა და ჟურნალების, გამომცემლობების, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგემ **დ. გოგოხიამ.**

მოხსენება — მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის მდგომარეობა და გაუმჯობესების ღონისძიებანი სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით — გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **მ. გოგიჩაიშვილმა.**

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი **მ. ქაჯაია,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის დირექტორის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ვ. მერკვილაძე,** პარტიის გუდაუთის რაიკომის მდივანი **ვ. აიბა,** ქუთაისის წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **გ. ჩხეიძე,** საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე **ც. ქოჩეჩაშვილი,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ჯ. პატიაშვილი,** ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორი **ო. ეგაძე,** საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პოლიტიკური ეკონომის შემსწავლელი მუდმივმოქმედი სემინარის ხელმძღვანელი **გ. ბიბილეიშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარე **კ. გარდაფხაძე,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეცნიერული ინფორმაციის ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ი. მირცხულავა,** საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **პ. თედეევი,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი **ნ. ჭავჭავაძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **შ. სალარიძე,** ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ რედაქტორი **შ. გაგოშიძე,** საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი **დ. ანთაძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ზ. აბვლედიანი** და სხვები. (საქდესი).

მოსკოვში ჩამოვიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 29 ივნისს მოსკოვში მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარე **გამალ აბდელ ნასერი.**

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, სამეგალო სტუმარსა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ ამხანაგები **ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნ. კოსიგინი, ბ. ნ. პონომარიოვი** და სხვა ოფიციალური პირები. (საკდესი).

მათ შეასრულეს ხუთწლედი

ᲑᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). ახალი ათხვისის მაღაროს კოლექტივმა საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ წარმატებას მიაღწია. აქ გადაჭარბებით შესრულეს ნახევარი წლის დავალება, განსაკუთრებით დაწინაურდა მადნის ელექტროსატვირთავი მანქანის მემანქანე ი. ბირბიჩაძე. მან ხუთწლედის განვლილ პერიოდში 94.454 ტონა მარგანეცი დატვირთა და პირადი ხუთწლედი 125 პროცენტით შეასრულა. მბურღავმა თ. გველესიანმა 136.560 ტონის ნაცვლად 178.636 ტონა მადანი მოანგრია და ახლა 1972 წლის ანგარიშში მუშაობს.

ნახევარი წლის გეგმა ვადამდე გაკანაღდა

ᲡᲐᲡᲐᲮᲔᲚᲝᲓ შრომობს ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ჩხარის იატაკის ფილების ქარხნის კოლექტივი, რომელსაც ინჟინერი ს. მხეიძე ხელმძღვანელობს.

კოლექტივის თვითეული წევრის თავდადებული შრომის შედეგია ის, რომ ქარხანამ 15 დღით ადრე ყველა მაჩვენებლით გაანაღდა 6 თვის საწარმოო დავალება. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 55 ათასი კვადრატული მეტრისა გამოიმუშავა 57 ათასი კვადრატული მეტრი საიატაკე ფილა.

ჩხარიერ კერამიკოსთა გადაწყვეტილებაა საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავად ხუთწლედის მეხუთე წლის საწარმოო დავალება 5 დეკემბრის შესრულონ და წლის ბოლომდე ჭიათურას მისცენ ათასობით მანეთის ზეგეგმური პროდუქცია.

რ. ზარნაძე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

დავიცვათ ფასებისა და ტარიფების დაწესებისა და გამოყენების წესები

ᲐᲛ ბოლო წლებში საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის სამინისტროთა ორგანიზაციებსა და საწარმოებში გაწეულია გარკვეული მუშაობა საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ფასებისა და ტარიფების დაწესებისა და გამოყენებისათვის. გაუმჯობესდა საპრეისკურანტო მეურნეობა, გაძლიერდა კონტროლი, რის შედეგად შემცირდა დარღვევათა შემთხვევები.

მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი და დარღვევანი.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ზოგიერთ საწარმოში არ არის პრეიასკურანტები და ტარიფები, არღვევენ საპრეისკურანტო მეურნეობის წარმოების წესებს.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ზოგიერთ სახეობათა სამუშაოებზე ჯერ არ არის პრეისკურანტები და ეს სამუშაოები სრულდება გადიდებული ფასებით, რომლებსაც ამტკიცებენ ადგილებზე შედგენილი კალკულაციებით. ამასთან ერთად არის შემთხვევები, როცა, მიუხედავად იმისა, რომ აქვთ ამა-თუ იმ სახეობის მომსახურების პრეისკურანტი, სამუშაოებს ასრულებენ გადიდებული ფასებით. არის მომხმარებელთა მოტყუების, გაუფორმებელი შეკვეთებით სამუშაოთა შესრულებისა და სხვა დარღვევების შემთხვევები.

ხშირია დარღვევები ბათუმის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს (უფროსი ნ. ნიკოლაიშვილი), გორის (უფროსი ო. დალაქიშვილი,) ქუთაისის (უფროსი გ. რუხაძე), სოხუმის (უფროსი ც. გიცბა), გურჯაანის რაიონის (უფროსი გ. ქაჩლიშვილი), გორის რაიონის (უფროსი გ. გიგუაშვილი) საწარმოებში, გურჯაანის რაიონის, ქალაქების — სოხუმის, გორის, ბათუმის, ჭიათურისა და სხვ. კომუნალური მეურნეობის ობიექტებზე.

მაგალითად, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ქიმიური წმენდის ფაბრიკაში (დირექტორი ა. ტიტკოვი) ჩვეულებრივი შეკვეთების ვითომდა სასწრაფოდ შესრულებისათვის მარტო მიმდინარე წლის იანვარ-მაისში 3938 შეკვეთისათვის მოსახლეობას ზედმეტად გადაახდევინეს 4.116 მანეთი.

ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელები კალკულაციებით ამტკიცებენ საყოფაცხოვრებო მომსახურების ზოგიერთი სახეობის სამუშაოთა შესრულების გადიდებულ ფასებს იმ შემთხვევებშიც, როცა არსებობს შესაბამისი პრეისკურანტი.

ასეთი ფაქტები იყო ქალაქ ქუთაისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მეურნეობებში, გორის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საწარმოებში და სხვ.

გორის სასტუმრო „ქართლში“ (დირექტორი ს. მამუკაშვილი) ნომრების არასწორი კატეგორიების გამოყენებით 1970 წლის სამთვეხანგაში მომხმარებლებს ზედმეტად გადაახდევინეს 222 მანეთი, გურჯაანის სასტუმრო „გურჯაანში“ (დირექტორი ვ. ოკინაშვილი) 2200 მანეთი. ამავე სასტუმროს ინდივიდუალური ავტომანქანების სადგომში ფასების მომატების შედეგად ზედმეტად გადაახდევინეს 711 მანეთი. თბილისის კიროვის რაიონის № 44 საბინაო-საექსპლოატაციო კანტორამ (მმართველი ო. აბრამიშვილი) 1969 წელს გორგასლის ქუჩა № 33 სახლის მცხოვრებლებს ზედმეტად გადაახდევინა 1.783 მანეთი წყლის ფული.

შემოწმებით გამოვლინდა აგრეთვე ფაქტები, როცა საწარმოები გაუფორმებლად იღებენ მასალებს და ასრულებენ შეკვეთებს, არასწორად და არასრულად ადგენენ შეკვეთების დოკუმენტებს, მალავენ მასალებს, დროზე არ აბარებენ ფულს და სხვა დარღვევები.

გურჯაანისა და გორის ავტოტექნიკური მომსახურების სადგურებში გაუფორმებლად არემონტებდნენ, მსუბუქ ავტომანქანებს.

საპრეისკურანტო მეურნეობის მოუწესრიგებლობისა და სახელმწიფო ფასების დარღვევების, გაუფორმებელი შეკვეთების შესრულების ფაქტები და სხვა დარღვევები იმის შედეგია, რომ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის სამინისტროთა შესაბამისი განყოფილებები და სამმართველოები სათანადო კონტროლს არ უწევენ საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ორგანიზაციებსა და საწარმოებს, რევიზიებისა და შემოწმებების დროს არ აელენენ დარღვევათა ფაქტებს და არ ახორციელებენ მკაცრ ღონისძიებებს.

გამოვლინებული ნაკლოვანებანი იმის შედეგიც არის, რომ ზემოაღნიშნულ საწარმოთა სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები არ ქმნიან ისეთ ვითარებას, რომელიც გამორიცხავს დარღვევებს, არ იჩენენ ჯეროვან პრინციპულობას.

ქალაქ ქუთაისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსს გ. რუხაძეს, გურჯაანის რაიონისა — გ. ქაჩლიშვილს, გორის რაიონისა — გ. გიგუაშვილს, გორის სასტუმრო „ქართლის“ დირექტორს ს. მამუკაშვილს, ქალაქ თბილისის კიროვის რაიონის № 44 საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის მმართველს ო. აბრამიშვილს, სოხუმის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსს ც. გიცბას, ბათუმისა — ნ. ნიკოლაიშვილს, და გურჯაანის სასტუმროს დირექტორს გ. ოკინაშვილს, საქვეუწყების საწარმოების საქმიანობისადმი სათანადო კონტროლის გაუწევლობისათვის მეეთითათ.

გურჯაანისა და გორის ავტოტექნიკური მომსახურების სადგურების უფროსებს ვ. მჭისაშვილსა და ა. ლობჟანიძეს გაუფორმებლად ავტომანქანების მიღებისა და რემონტისათვის გამოეცხადათ სასტიკი საყვედური.

გათვალისწინებულია, რომ ტანსაცმლის ქიმიური წმენდის ფაბრიკის დირექტორს ა. ტიტკოვს ქალაქ თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსის ბრძანებით გამოეცხადა საყვედური.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს მიეცა წინადადება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის საწარმოებს გადაახდევინოს ზედმეტად მიღებული თანხები და შეიტანოს ისინი სახელმწიფო ბიუჯეტში.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო კონტროლის კომიტეტები გალდებული არიან განიხილონ შემოწმების მასალები და მკაცრად დასჯონ დამნაშავენი, განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების საწარმოთა სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობის გასაუმჯობესებლად. (საქდესი).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ ᲓᲦᲔᲡ

ქ. მოსკოვი. კალინინის პროსპექტი.

ფოტო ნ. ბრანოვსკისა (საკდესის ფოტოკრონიკა).

ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲝᲒᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 29 ივნისი. (საკდესის კორ.). დღეს პ. ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტში გაიმართა სამეცნიერო საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა სპეციალისტთა მეექვსე გამოშვებას. წელს უნივერსიტეტი დაამთავრა მსოფლიოს 62 ქვეყნის 569 ინჟინერმა, ექიმმა, ფიზიკოსმა, მათემატიკოსმა, ეკონომისტმა და სხვა სპეციალობათა წარმომადგენლებმა.

სპეციალისტთა მომზადების მაღალ დონეს ცხადყოფს ის ფაქტი, რომ კურსდამთავრებულთა 84 პროცენტმა დაიცვა სადიპლომო ნაშრომი და „კარგსა“ და „ფრიადზე“ ჩაბარა სახელმწიფო გამოცდები.

იმათ შორის, ვინც წარჩინების დიპლომები მიიღო, არიან ექიმი მუსტაფა ობეიდ ჰასანი (სუდანი), გეოლოგი აჩიუტა ნანდა ბჰანდარი (ნეპალი) და სხვები.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲒᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲓᲘᲓᲘ გამოცოცხლება იყო 28 ივნისს გამარჯვების პარკში. აქ საბჭოთა ახალგაზრდობის დღესასწაულზე მოვიდნენ წარმოების მოწინავენი, მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები.

საზეიმო მიტინგი გახსნა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ალავიძემ.

შეკრებილთ გულთბილად მიესალმნენ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე, სოციალისტური შრომის გმირი, № 6 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი გ. ბოგვერაძე, სოციალისტური შრომის გმირი, თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის მუშა ვ. პაპინაშვილი, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, სტუდენტთა სამშენებლო რაზმის ხელმძღვანელი მ. მაღრაძე.

მიტინგის შემდეგ დაიწყო სპორტსმენთა საჩვენებელი გამოსვლები. თავიანთი ოსტატობა აჩვენეს მოფარიკაველებმა, მოჭიდაველებმა, ტანმოვარჯიშეებმა. გაიმართა ჭადრაკში ერთდროული თამაშის სეანსი. ფეხბურთის მოყვარულებს შესაძლებლობა ჰქონდათ ესაუბრათ ფეხბურთში 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებთან — თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებთან.

დასასრულ გაიმართა დიდი საესტრადო კონცერტი. (საქდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ

ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲐᲠᲘᲤᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ

29 ივნისი

მსოფლიო დღეს

გ. ჰუსაკის გამოსვლა

ბრაღა, 28 ივნისი. (საკდესი). სამხრეთ მორავიის ოლქის 40 ათასზე მეტი მშრომელი მონაწილეობდა დღეს ბრნოს მახლობლად გამართულ მშვიდობის ტრადიციულ დღესასწაულში. მშვიდობის დაცვის მასობრივი მანიფესტაციები აქ ყოველწლიურად ეწყობა იმ გრანდიოზული ანტიფაშისტური მანიფესტაციის ხსოვნის აღსანიშნავად, რომელიც აქ გაიმართა 22 წლის წინათ, 1938 წლის აგვისტოში. იმ მანიფესტაციაზე კლემენტ გოტვალდმა მოუწოდა ხალხს მთელი ძალები გაეერთიანებინა ჰიტლერული საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მშვიდობის დღესასწაულში მონაწილეობდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჰუსაკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი, ჩეხიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ი. კორჩაკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების თავმჯდომარე დ. განესი, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ს. ვ. ჩერვონენკო და ვორონეჟის დელეგაცია, რომელსაც ბრნოსთან მეგობრობა აკავშირებს. სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჰუსაკმა.

სიტყვის დასაწყისში გ. ჰუსაკი შეეხო ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივნისის პლენუმის შედეგებს. მან აღნიშნა პლენუმის სამუშაო ხასიათი და მისი წევრების აზრთა სრული ერთიანობა.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრობას ჩეხოსლოვაკიის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის. როგორც მან თქვა, ეს მეგობრობა მთავარი საკითხი, ჩეხოსლოვაკიაში თვით სოციალიზმის არსებობის საკითხია.

პარტიის ხელმძღვანელობა, აღნიშნა გ. ჰუსაკმა, ამ ბოლო წლის მანძილზე განუხრელად იღვწოდა სოციალისტურ ქვეყნებთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენისათვის. ჩეხოსლოვაკია, ისევე როგორც საბჭოთა კავშირი, თანმიმდევრულად შეასრულებს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ახალ ხელშეკრულებას, ხაზი გაუსვა მან. ახლა ჩეხოსლოვაკიელ ხალხს შეუძლია მშვიდად შეჰყურებდეს მომავალს. მწარე გამოცდილების შემდეგ აღარავის მივცემთ ნებას ხელყოს საბჭოთა ხალხთან ჩვენი მეგობრობა, განაცხადა გ. ჰუსაკმა. მის სიტყვებს დამსწრენი შეხვდნენ მჭუხარე ტაშით და შეძახილებით: „გაუმარჯოს სსრ კავშირს“!

შემდეგ ორატორმა აღნიშნა პოზიტიური შედეგები, რომლებიც მოპოვებულია ჩეხოსლოვაკიის საზოგადოების კონსოლიდაციისათვის ბრძოლაში. მთავარი ის არის, განაცხადა გ. ჰუსაკმა, რომ მშრომელი ადამიანი ახლა კვლავ რწმენით შეჰყურებს მომავალს. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშრომელთა უმრავლესობა მხარს უჭერს პარტიის ხელმძღვანელობის კურსს, რომელიც დასახა გასული წლის აპრილისა და მაისის შემდეგ. სიტყვის დასასრულს მან გამარჯვება უსურვა ჩეხოსლოვაკიელ მშრომელ ხალხს, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას, ჩეხოსლოვაკიელი და საბჭოთა ხალხების მარადიულ მეგობრობას.

მშვიდობის დღესასწაულზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ელჩმა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ს. ვ. ჩერვონენკომ, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

მშვიდობისათვის მებრძოლთა კონფერენცია

ლონდონი, 29 ივნისი. (საკდესი). 27-28 ივნისს აქ მიმდინარეობდა ინგლისის მშვიდობისათვის მებრძოლთა პროვინციული კონფერენცია. კონფერენციის დელეგატებმა მოსთხოვეს მთავრობას მკვეთრად შეამციროს სამხედრო ხარჯები. მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ სამხედრო ხარჯების ტვირთი ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული დაბრკოლებაა ინგლისის ეკონომიური პროგრესის გზაზე, უარყოფით გავლენას ახდენს საბინაო მშენებლობის, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის განვითარებაზე.

„ატომური განიარაღებისათვის მებრძოლთა“ ინიციატივით მოწვეული კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 100-მდე დელეგატმა, რომლებიც წარმოადგენდნენ ინგლისის სხვადასხვა რაიონის 65 პროფკავშირს, მშვიდობისათვის მებრძოლთა ორგანიზაციებს, ახალგაზრდულ და რელიგიურ ორგანიზაციებს. კონფერენციაში მონაწილეობდნენ აგრეთვე დელეგატები დიდი ბრიტანეთის კომპარტიისაგან.

კონფერენციის გადაწყვეტილებებში მტკიცედ ხაზგასმულია, რომ საჭიროა ინგლისი გამოვიდეს ნატოდან, უარი თქვას გამალებული შეიარაღების პოლიტიკაზე, ინგლისის მშვიდობისათვის მებრძოლებმა მტკიცე პროტესტი განაცხადეს ჩრდილოეთ ირლანდიის ხელისუფალთა მოქმედების წინააღმდეგ, რომლებმაც საპატიმროში ჩასვეს მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მამაცი მებრძოლი, ინგლისის პარლამენტის წევრი ბერნადეტა დევლინი. მათ დიდი შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ ოლსტერში ვითარება სულ უფრო მწვავდება.

მნიშვნელოვანი ნაბიჯი

ბონი, 29 ივნისი. (საკდესი). გერმანიის კომუნისტური პარტიის რაინლახდ-ვესტფალიის ორგანიზაციის გამგეობა სპეციალურ განცხადებაში მიესალმება მემორანდუმს, რომელიც გამოქვეყნდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების ბუდაპეშტის თათბირის შედეგად.

გერმანიის კომპარტიის ორგანიზაციის გამგეობა ხაზს უსვამს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დოკუმენტის წინადადებებს უშიშროების საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის რაც შეიძლება სწრაფად მომზადებისათვის. როგორც ხაზგასმულია განცხადებაში, ჰოზიცია, რომელიც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს უკავიათ, ცხადყოფს, რომ სოციალისტური ქვეყნები მოქმედებენ ისე, რომ საკმაებით შეგნებული აქვთ პასუხისმგებლობა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე პირველი თათბირის მოწყობისათვის.

გერმანიის კომპარტიის ორგანიზაციის გამგეობა კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ევროპის სოციალისტური ქვეყნების აქტიური ღონისძიებების შედეგად ბევრ სხვა ქვეყანასთან მოწყვეულია ურთიერთგაგება სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის შესახებ.

სენატორის მოწოდება

ვაშინგტონი, 29 ივნისი. (საკდესი). **სენატორმა უ. პროქსმაირმა მოითხოვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ხარჯები სამხედრო საჭიროებისათვის შეამცირონ 10 მილიარდ დოლარამდე.**

პროქსმაირი გამოვიდა „სი-ბი-ეს“ კომპანიის სატელევიზიო პროგრამით „პირი ერისაკენ“ და განაცხადა, რომ შემცირება უნდა ითვალისწინებდეს აგრეთვე ამერიკის ჯარების ორი მესამედის გამოყვანას ევროპიდან, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო პერსონალის რიცხვის შემცირებას სხვა ქვეყნებში.

სსრ კავშირთან ვაჭრობისათვის

სან-ხოსე, 29 ივნისი. (საკდესი). კოსტა-რიკის პრესა ეუწყება, რომ ხელი მოაწერეს კოსტა-რიკისა და საბჭოთა კავშირის პირველ სავაჭრო ხელშეკრულებას. რადიოსადგურმა „კოლუმბიამ“ განაცხადა, რომ ეს ხელშეკრულება ხელს შეუწყობს კოსტა-რიკის ეკონომიკის განვითარებას. გადაცემაში ხაზგასმული იყო, რომ საბჭოთა კავშირი ვაჭრობას აწარმოებს ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე.

აგრესიის განგრძობის კურსი

ნიუ-იორკი, 29 ივნისი. (საკდესი). **ამერიკის ჯარების გამოყვანა კამბოჯის ტერიტორიიდან, რაც, თანახმად პრეზიდენტ ნიქსონის ბრძანებისა, 30 ივნისს უნდა დამთავრდეს, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უარს ამბობს კამბოჯის საშინაო საქმეებში შეიარაღებულ ჩარევაზე.** ასეთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის უ. როჯერსის პრესკონფერენციიდან, რომელიც გუშინ გაიმართა სან-ფრანცისკოში.

გამოვიდა რა ჟურნალისტების წინაშე, როჯერსმა ხაზი გაუსვა, რომ 30 ივნისის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობს კამბოჯის ტერიტორიის დაბომბვას და რომ სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტული არმიის ნაწილები ამერიკის ჯარების გამოყვანის შემდეგაც დარჩებიან კამბოჯაში.

ოკუპანტთა ღონისძიებანი

ლონდონი, 29 ივნისი. (საკდესი). ჩრდილოეთ ირლანდიაში მოქმედი ინგლისის საოკუპაციო ჯარების სარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ ასორცეულებს ახალ ეკაცრ ღონისძიებებს დემონსტრანტთა წინააღმდეგ. განცხადებაში, რომელიც გამოქვეყნდა ოლსტერის უშიშროების საკითხთა კომიტეტის სხდომის შემდეგ, ნათქვამია, რომ არმიის ნაწილები პოლიციის „ქვეგანაყოფებთან“ და „ოლსტერის დაცვის პოლკთან“ ერთად „უპატრულებენ ყველა საკვანძო პუნქტს“.

ბელფასტის მცხოვრებლებს უბრძანეს „უსაქმოდ არ გამოვიდნენ სახლიდან და არ გავიდნენ ქალაქის ფარგლებს გარეთ“. ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქისაკენ მიმავალ ყველა გზაზე მოაწყვეს საკონტროლო-გასაშვები პუნქტები. ქალაქში მასობრივი ჩხრეკაა. განცხადებაში ნათქვამია, რომ „უახლოესი დღეღამის განმავლობაში ქალაქში მოვა ჯარის დიდი მაშველი ქვეგანაყოფები“.

29 ივნისი

რაზე წერს უცხოეთის პრესა

ყოფილი ეროვნული ბიბლიოთეკა მსხვრევაში

ბაზლვარგარეთის პრესა კვლავ ეხილავს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების ბუდაპეშტის თათბირის შედეგებს. გაზეთები აღნიშნავენ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მემორანდუმს, რომელიც თათბირმა მიიღო და გადასცა დაინტერესებული ქვეყნების — სრულიად ევროპის თათბირის შესაძლო მონაწილეების მთავრობებს. როგორც პარიზის „ლუმანიტე“ აღნიშნავს, ბუდაპეშტის თათბირის მემორანდუმი მოუწოდებს, რომ სახელმწიფოებმა შექმნან ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემა, უარი თქვან თავიანთ ურთიერთობაში ძალის გამოყენებაზე ან ძალის გამოყენებით დაშეკრებაზე, გააფართოონ საკავრო, ეკონომიური და კულტურული კავშირ-ურთიერთობა კონტინენტის ქვეყნებს შორის. ლონდონის „მორნინგ სტარი“ აღნიშნავს, რომ „ინგლისელი ხალხის თვალსაზრისით, ბუდაპეშტის მემორანდუმის წინადადებებს უდიდესი უბრატესობები აქვთ“.

პრაღის „რუდე პრავო“ აქვეყნებს ამ გაზეთის მთავარი რედაქტორის სტატიას, რომელიც ეხებოდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მუშაობის შედეგებს. ავტორი ხაზს უსვამს, რომ პლენუმმა ცხადყო პარტიის სრული ერთიანობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპები, კონკრეტული სიქმეები ქვეყნის კონსოლიდაციისათვის. ახალი ხელმძღვანელობით ერთი წლის შედეგიანი მუშაობის შემდეგ, ნათქვამია სტატიაში, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ დაადასტურა, რომ იგი მართლაც სახოგადოების წამყვანი ძალაა.

ხაზლვარგარეთის ბევრი გაზეთი წერს ახლო აღმოსავლეთსა და ინდოჩინეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

ლონდონის პრესაში სჭარბობს მასალები ჩრდილოეთ ირლანდიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. გაზეთების უმრავლესობა ხაზს უსვამს, რომ ბელფასტში, ლონდონდერში და ჩრდილოეთ ირლანდიის სხვა ქალაქებში ახლანდელი მთავრობა ყველაზე ძლიერია უკანასკნელი წლების მანძილზე. პრესა წერს, რომ ინგლისის ჯარები სასტიკ ღონისძიებებს ხმარობენ ჩრდილოეთ ირლანდიაში, რომ მათ მოუვიდათ ბრძანება დაუყოვნებლივ დაუშინონ ცეცხლი სამოქალაქო პირებს, თუ შენიშნეს, რომ მათ იარაღი აქვთ. „მორნინგ სტარი“ წერს, რომ ულტრამემარჯვენე პროტესტანტული ორგანიზაციები პროვოკაციულ როლს ასრულებენ ჩრდილოეთირლანდიელ პატრიოტთა წინააღმდეგ ტერორის გაძლიერებაში.

როგორც ინგლისური „დეილი ხეკეტჩი“ წერს, ჰიტის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მიაწოდოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას სამხედრო-საზღვაო ხომალდები. (საკდესი).

ექსპო—70

იაპონია. გამოფენა „ექსპო-70“ ოსაკაში. სურათზე: იტალიის პავილიონში მნახველები ათვალიერებენ „ფიატის“ მარკის მანქანებს. მარცხნივ — 1899 წელს „გამომშვებული“ ავტომანქანა, მარჯვნივ — მომავლის მანქანა.

მეროველთა რიგების შესაკავშირებლად

პარიზი, 29 ივნისი. (საკდესი). სულ უფრო მეტ მშრომელს, და კერძოდ, ახალგაზრდას ესმით, რომ მხოლოდ ღრმა ცვლილებებს ქვეყნის პოლიტიკაში შეიძლება მოჰყვეს მათი ცხოვრების რეალური და მყარი გაუმჯობესება, განაცხადა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მოადგილემ ჟ. მარშემ. მან სიტყვა წარმოთქვა ბორდოს მახლობლად მდებარე ქალაქ გრადინიანში საფრანგეთის კომპარტიის ეირონდის დეპარტამენტის ფედერაციის დღესასწაულზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მილიონობით ფრანგს სურს სხვა პოლიტიკა, საზოგადოებაზე სხვა ორგანიზაცია, სხვა ცხოვრება.

ორატორმა მოუწოდა შეერენილთ უფრო ფართოდ გაშალონ ბრძოლა მშრომელი მასების შეკავშირებისათვის, მსხვილი კაპიტალის ძალაუფლების წინააღმდეგ მოქმედების ერთიანობისათვის.

გასულ კვირადღეს კომპარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მიტინგები და კრებები მოაწყვეს აგრეთვე სენ-პონ-ფემენში მარსელის მახლობლად, ბრიუნემონში (პა-დე-კალეს დეპარტამენტი), ვენსენიენში — ლიონის მახლობლად.

სელექციის ლენინიდან

რუმინეთის ენერგეტიკის აღმავლობა

ბუქარესტი, 29 ივნისი. (საკდესი). დევის თბოელექტროსადგურის ორი ენერგეტიკული აგრეგატი, 210 ათასი კილოვატი სიმძლავრისა თვითეული, ამჟამად იძლევა ორჯერ უფრო მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე რუმინეთის ყველა სადგური იძლეოდა ომამდე. რუმინეთის ენერგეტიკა ომისშემდგომ პერიოდში სწრაფი ტემპით ვითარდება. ელექტროენერგიის წარმოება ყოველ ხუთ წელიწადში თითქმის ერთიორად იზრდება. მომდინარე წელს გამოიმუშავებენ 35 მილიარდ-კილოვატ საათს, ხოლო ხუთი წლის შემდეგ — დაახლოებით 60 მილიარდს.

კვლავ პროვოკაცია

ბეირუთი, 29 ივნისი. (საკდესი). ისრაელის თვითმფრინავები გუშინ კვლავ თავს დაესხნენ ლიბანის სამხრეთ რაიონებს. როგორც განაცხადა ლიბანის სამხედრო სარდლობის წარმომადგენელმა, თვითმფრინავებმა დაბომბეს სოფლების — ხილვეი ალ-ბაიადის, რაშაიის, ფუჭარიხა და ჰაბბაიის მიდამოები (ჰასბაიის რაიონი), დაბომბვამ მატერიალური ზარალი მიაყენა ამ სოფლებს. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

პარტიზანები მოქმედებენ

კაირო, 29 ივნისი. (საკდესი). პალესტინის „ფათხის“ ორგანიზაციის პარტიზანებმა მდინარე იორდანის ხეობასა და ზემო გალილეაში განახორციელეს რამდენიმე წარმატებითი ოპერაცია ისრაელ ოკუპანტთა წინააღმდეგ.

მენის სააგენტომ გააკრიტიკა პალესტინის გაერთიანებული სარდლობის კომუნიკე, რომელშიც აღნიშნულია, რომ გუშინ პარტიზანებმა ცეცხლი და რაკეტები დაუშინეს ისრაელთა მთელ რიგ გასამხედროებულ დასახლებებს ამ რაიონში.

ზემო გალილეაში „ფათხის“ მებრძოლები თავს დაესხნენ ისრაელთა პატრულს და ცოცხალი ძალის ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს.

აგრესორთა დანაკლისი იზრდება

პანოი, 29 ივნისი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამელი პატრიოტები წარმატებით განაგრძობენ საბრძოლო მოქმედებას ამერიკა-საიგონის ჯარების წინააღმდეგ. ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმოწმებს პრესის სააგენტოს „განთავისუფლებას“. მაგალითად, განთავისუფლების ხახალხო შეიარაღებული ძალების რაზმებმა, რომლებიც მეკონგის დელტის დასავლეთ ნაწილში მოქმედებენ, მაისში და ივნისის პირველ ნახევარში რამდენიმე დარტყმა აგებულ მტერს, მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 14.100-ზე მეტი ჯარისკაცი.

ინიშვნელოვანი ნაბიჯი

ბონი, 29 ივნისი. (საკდესი). გერმანიის კომუნისტური პარტიის რაინლახდ-ვესტფალიის ორგანიზაციის გამგეობა სპეციალურ განცხადებაში მიესალმება მემორანდუმს, რომელიც გამოქვეყნდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების ბუდაპეშტის თათბირის შედეგად.

გერმანიის კომპარტიის ორგანიზაციის გამგეობა ხაზს უსვამს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დოკუმენტის წინადადებებს უშიშროების საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის რაც შეიძლება სწრაფად მომზადებისათვის. როგორც ხაზგასმულია განცხადებაში, ჰოზიცია, რომელიც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს უკავიათ, ცხადყოფს, რომ სოციალისტური ქვეყნები მოქმედებენ ისე, რომ საკმაებით შეგნებული აქვთ პასუხისმგებლობა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე პირველი თათბირის მოწყობისათვის.

გერმანიის კომპარტიის ორგანიზაციის გამგეობა კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ევროპის სოციალისტური ქვეყნების აქტიური ღონისძიებების შედეგად ბევრ სხვა ქვეყანასთან მოწყვეულია ურთიერთგაგება სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის შესახებ.

ინდოჩინეთი

ომი ან მშვიდობა

ამერიკელ ოკუპანტთა ბოროტმოქმედებანი

ბულგარელთა მაღლ

ძმური მეგობრობა

მაგიდაზე ტელეფონი რეკავს. ყურძილში მესმის პარტიის ხერსონის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ანტონ სამუელის-ძე კოჩუბეის ნაცნობი ხმა:

— მიხაკოსაგან წერილი მივიღე, — მეუბნება იგი. — შენც გითვლის საალმს. რა დაუდგრომელია! მოთხრობის მეორე ნაწილს ამთავრებს. გვთხოვს დავეხმაროთ დასკვნითი თავისათვის მასალის შეგროვებაში.

